ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1475310

ნომერი: AR1248192

თარიღი : 08.09.2014

გაცემის თარიღი : 12.09.2014

გაცნობის თარიღი : 03.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსი კარიჭაშვილი პ/ნ 59001026281
- გორი ს. ხიდისთავი III ქ. N 2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08.09.2014 წ. #AR1248192 განცხადებით მომართა შპს „მარმარილო“-ს დირექტორმა ალექსი კარიჭაშვილმა და მოითხოვა 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25.10.2010 წ. ქ. თბილისში, სოფ. დიღომში, „ჩალიპირებში“ მდებარე მიწის ნაკვეთზე

(1133.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.72.14.032.197) ინდივიდუალური მცირე საწარმო ნაგებობის აშენების მიზნით დადგენილ იქნა #1566 სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის (1133.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.72.14.032.692) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 1133 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.72.14.032.692;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882014360974, მომზადების თარიღი: 11.07.2014 წ.; საკადასტრო კოდი: #01.72.14.032.692);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.10.2010 წ. #1566 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.